სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საფეხური: სამაგისტრო

პროგრამა: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია
პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველმა საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.
შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში მოწმდება სტუდენტის ინგლისური ენის კომპეტენცია (B2) და მისი დარგობრივი ცოდნა.
შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ფასდება 100 ქულით. ქულების განაწილება შემდეგია:

- ინგლისური ენის ტესტირების მაქსიმალური ქულა - 30 ქულა;
- ზეპირი გამოცდის მაქსიმალური ქულა - 70 ქულა.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე (ინგლისური ენის ტესტირებაში და ზეპირ გამოცდაში) კანდიდატმა ჯამურად უნდა დააგროვოს მინიმუმ 51 ქულა, ამასთან, ინგლისური ენის ტესტის მინიმალური ზღვარია 18 ქულა.
იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაბარების მსურველმა ვერ დააკმაყოფილა აღნიშნული პირობები, ის გამოირიცხება ჩასარიცხ კანდიდატთა სიიდან.

ზეპირ გამოცდაზე კონკურსანტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- აკადემიური/პროფესიული მიღწევები - რეზიუმე (CV) (სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა, სხვა დოკუმენტებთან ერთად CV უნდა წარმოადგინონ ელექტორნიული ფორმით რეგისტრაციის დროს და ნაბეჭდი სახით ზეპირ გამოცდაზე);
- არჩეული სფეროს შესახებ დარგობრივი ბაზისური ცოდნა;
- მოტივაცია;
- კომუნიკაციის უნარი.

ზეპირი გამოცდის დროს, კანდიდატის დარგობრივი საბაზისო ცოდნის გამოსავლენად, დასმული იქნება პროგრამით გათვალისწინებული საკითხებიდან გამომდინარე კითხვები; ასევე კანდიდატმა, მოტივაციის გამოვლენის მიზნით, სამომავლო პროფესიული/კარიერული ზრდის პერსპექტივიდან გამომდინარე, უნდა ისაუბროს საკუთარი ინტერესის შესახებ; ხოლო პროფესიული მიღწევების დასადასტურებლად უნდა წარმოაჩინოს თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი აკადემიური ან/და პროფესიული აქტივობების შედეგები.

აპლიკანტი, რომელიც ვერ გადალახავს ინგლისური ენის ზღვარს (18 ქულას) გამოირიცხება ზეპირ გამოცდის სიიდან.

ზეპირი გამოცდის შეფასების სისტემა:

დარგობრივი ცოდნა და არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია	ქულა	მაქსიმალური ქულა
საკითხის ცოდნა (თეორიები, ცნებები, კონცეფციები)		20
დარგის თანამედროვე პრობლემატიკის ცოდნა		5
ჯამი		25

ინგლისური ენის ცოდნა	ქულა	მაქსიმალური ქულა
წაკითხულის გაგების უნარი წერითი ტესტის საფუძველზე		30
ჯამი		30

მოტივაცია	ქულა	მაქსიმალური ქულა
მოტივაციის მკაფიოდ და ნათლად წარმოჩენა		10
აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნების და პროგრამის მიზნების თანხვედრა		5
პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებების გააზრება		5
პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენება პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივიდან		5
ჯამი		25

აკადემიური/პროფესიული მოღწევები	ქულა	მაქსიმალური ქულა

კომუნიკაციის უნარი	ქულა	მაქსიმალური ქულა
ქართულ ენაზე გამართული კომუნიკაციის უნარი		5
აუდიტორიასთან კავშირის დამყარების უნარი		5
ჯამი		10

მიღწევების მრავალფეროვნება (მაგ. გამოქვეყნებები, პროექტები, მათ შორის აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გრანტები, ჯილდოები და ა.შ.) და სფეროში მუშაობის გამოცდილება		5
აპლიკანტის მიერ საკუთარი მიღწევების შეფასება/რეფლექსია		5
ჯამი		10

წერითი გამოცდა

გამოცდის ყველა კომპონენტის ჯამი		100